# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/18 "7" თებერვალი 2023 წ.

# განკარგულება

**მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში ხელახალი კენჭისყრის ჩატარების შესახებ**

2023 წლის 7 თებერვლის მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის კენჭისყრის დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა თემურ გოგოხიამ, ნიკოლოზ მარსაგიშვილმა და ბადრი შონიამ, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის $13^1$ პუნქტის საფუძველზე, მოსამართლეობის კანდიდატ ია ლაზაძის თანხმობით მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე აღნიშნულ კანდიდატთან მიმართებით ხელახალი კენჭისყრის ჩატარების თაობაზე. წინადადება საბჭოს წევრთა მიერ მხარდაჭერილ იქნა ერთხმად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის $13^1$ პუნქტის შესაბამისად, ჩატარდეს ხელახალი კენჭისყრა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე, ია ლაზაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი